



**გეოგრაფიის სწავლება დაწყებითი კლასების ბუნებისმცოდნეობაში სასწავლო თამაშების გამოყენებით**

### **გეოგრაფიის დოქტორი მაია ბლიაძე**

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება მოსწავლეზე ორიენტირებული განათლებაა. ამის კვალობაზე, სასურველია, სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქციული იყოს.

უმცროს სასკოლო ასაკში სასწავლო თამაშებს, მოზარდის განვითარების თვალსაზრისით, დიდი როლი აკისრია. ეს თამაშები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გააქტიურებას, უვითარებს ბავშვებს დამკვირვებლობას, ყურადღებას, მეხსიერებას, სისტემურ აზროვნებას. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ადრე შეძენილი ცოდნის შესამოწმებლად და განსამტკიცებლად, ისე მისი გასაფართოებლად და გასაღრმავებლადაც.

საგან ბუნებისმცოდნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაში: როლური, საქმიანი, გასართობი, - იმისდა მიხედვით, რა არის გაკვეთილის თემა, მიზანი, როგორია თავად მოსწავლეთა ცოდნა და ა.შ.

სასწავლო თამაშების დროს მასწავლებელი ძირითადად წამყვანის, გეზის მიმცემისა და მეთვალყურის როლს ასრულებს. ის ბოლომდე ნეიტრალური უნდა იყოს, ინარჩუნებდეს ურთიერთობათა ბალანსს და კლასში სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდეს.

სასწავლო თამაშების დროს მთავარი მოსწავლეთა აქტიურობაა. მათ საშუალება ეძლევათ, თავად გამოიკვლიონ, გაარჩიონ, გამოიყენონ, სათანადოდ განალაგონ მასალა, ირწმუნონ საკუთარი ძალა, იმოქმედონ და იპოვონ გამოსავალი, თამამად იმსჯელონ თავიანთ ნეგატიურ თუ პოზიტიურ გრძნობებზე, მოქმედებებზე, გააანალიზონ ისინი და დასკვნები გამოიტანონ.

სასწავლო თამაშების შედეგად მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ კლასიფიკაციის, ანალიზის, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის, კომუნიკაციური (განსაკუთრებით - ერთობლივი თუ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების დროს) უნარები. ეს თამაშები მათ მოტივაციას, ინტერესს, შემოქმედებით ნიჭს, ფანტაზიას უვითარებს.

სასწავლო თამაშების დროს აუცილებელია სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება:

1. თამაშის დაგეგმვა და საჭირო რესურსების მომზადება;
2. როლების განაწილება მონაწილეთა შორის;

3. თამაშის წესების (ინსტრუქტაჟის) გაცნობა;
4. თამაშის მსვლელობისთვის თვალყურის დევნება;
5. თამაშის შეჯამება და დასკვნების გამოტანა.

სასწავლო თამაშების მთავარი ღირსებებია მოსწავლეთა მაღალი აქტიურობა, ძლიერი სასწავლო ეფექტი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა იმავდროულად გასათვალისწინებელია რისკებიც. სასწავლო თამაშები მოითხოვს მოსწავლეთა ინტესიურ მომზადებას; ზოგჯერ თამაშებში მათი მხოლოდ ნაწილი მონაწილეობს; საჭიროა მოსწავლეებზე ინტეგრირებული კონტროლი; გამორიცხული არ არის უთანხმოების წარმოშობა თამაშის მონაწილეთა შორის.

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე გეოგრაფიულ სასწავლო თამაშს.

**თემა: რუკა და გეოგრაფიული ობიექტები**  
**თამაში “ვისწავლოთ რუკის კითხვა”**

**საჭირო მასალა:** ნახევარსფეროების რუკა, წინასწარ მომზადებული ცხრილები, ფერადი ფურცლები, სკოჩი, საწერ-კალამი

**მოსამზადებელი ეტაპი:** მასწავლებელი დაფაზე აკრავს ყავისფერ, მწვანე და ლურჯ ფურცლებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა არის აღნიშნული ამ ფერებით რუკაზე. თითოეული ფერის ფურცელს მიეწერება პასუხები. მაგალითად, მწვანეს - დაბლობი (ვაკე), ყავისფერს - მთა, ლურჯს - ზღვა (ოკეანე, ტბა). შემდეგ მოსწავლეები იხსენებენ, როგორ აღინიშნება რუკაზე მდინარე, ტბა; რას ნიშნავს ფერების ცვლილება.

**რუკის კითხვა:** კლასი ჯგუფებად იყოფა. თითოეულ მათგანს ეძლევა ნახევარსფეროების რუკა და კონკრეტული დავალება - რუკის ლეგენდის დახმარებით ნახევარსფეროების რუკაზე კონტინენტების მიხედვით უნდა მოძებნონ და ამოიწერონ ორი მთა, ორი დაბლობი (ვაკე), ორი ზღვა, ორი მდინარე, ორი ტბა და შეავსონ ცხრილი (იხ. ნიმუში). ამასთან, თითოეული უჯრა გააფერადონ იმ ფერით, რა ფერითაც არის გამოსახული იგი რუკაზე. მაგ., კავკასიონის მთა - ყავისფრად, შავი ზღვა - ლურჯად და ა. შ.

კონტინენტი	მთა	დაბლობი, ვაკე	ზღვა	მდინარე	ტბა
აფრიკა					
ევროპა					
აზია					
ბრდილოეთი ამერიკა					
სამხრეთი ამერიკა					
ავსტრალია					
ანტარქტიდა					

**პრეზენტაცია:** თითოეულ ჯგუფს პრეზენტაციის დროს ობიექტის დასახელებისას ცხრილის დახმარებით რუკაზე აჩვენებენ ამოწერილ გეოგრაფიულ ობიექტებს.

**რეკომენდაცია:** მსგავსი სამუშაოს შესრულება შესაძლებელია საქართველოს რუკაზეც.

**თემა: მოგზაურები და აღმოჩენები**  
**თამაში “ლაბირინთი”**

**საჭირო მასალა:** სათამაშო სქემები, ფურცლები, საწერ-კალამი.

**მოსამზადებელი ეტაპი:** კლასი 4-5-კაციან ჯგუფებად იყოფა. თითოეულ მათგანს მიენიჭება სახელი - რომელიმე მოგზაურის გვარი. მაგალითად, I ჯგუფს - მაგელანი, II-ს - კოლუმბი და ა.შ. მოსწავლეები იყენებენ თავიანთ სათამაშო სქემებს (იხ. ნიმუში) და ეცნობიან თამაშის ინსტრუქციას.


**ლაბირინთი:** სათამაშო სქემაზე მოცემულია 15 კვადრატი, რომლებშიც ჩაწერილია მტკიცებულებები. თამაში პირველი კვადრატიდან იწყება. მოსწავლეები კითხულობენ მასში ჩაწერილ მტკიცებულებას და თუ ის სწორად მიაჩნიათ, მიჰყვებიან “დიახ” ისრის მიმართულებას, თუ მცდარად - “არა” ისრისას. მოსწავლეებმა ფურცლებზე უნდა ჩამოწერონ იმ კვადრატების ნომრები, რომლებსაც გაივლიან. დავალება შესრულებული იქნება, როდესაც ისინი მე-15 კვადრატს მიაღწევენ.

თამაშის დასრულების შემდეგ ჯგუფის ლიდერი ან წარმომადგენელი წაიკითხავს ჯგუფის ლაბირინთში “მოგზაურობის მარშრუტს” - კვადრატების ნომრებს. მათი პასუხები გამოეკვრება დაფაზე.

პასუხები სწორია, თუ ლაბირინთში მოსწავლეებმა ასეთი მარშრუტით იმოგზაურეს: 1, 6, 7, 3, 8, 12, 13, 9, 4, 5, 10 და 15 კვადრატები

არასწორი მტკიცებულებები წერია 1-ელ, მე-2, მე-5, მე-11, მე-12 და მე-14 კვადრატებში.

შეადარეთ მოსწავლეთა “მარშრუტები” ერთმანეთს და დაადგინეთ გადაადგილების სწორი ვარიანტი. მოსწავლეებს გაასწორებინეთ შეცდომები.



## თემა: მოგზაურები და აღმოჩენები

### თამაში “მოგზაურობა დედამიწის გარშემო”


**საჭირო მასალა:** სათამაშო სქემა “მოგზაურობა რუკაზე” (იხ. ნიმუში), პენოპლასტი პატარა ნაჭრები ან მოგრძო საშლელეები, ფლომასტერები, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, პატარა ჩხირები, კამათლები.

**მოსამზადებელი ეტაპი:** დედამიწის გარშემო წარმოსახვითი მოგზაურობის დასაწყებად მოსწავლეებს სამოგზაურო გემების გაკეთება დასჭირდებათ. გემები იოლი გასაკეთებელია: პენოპლასტის ნაჭერში (ან საშლელში) ერჭობა პატარა წვეტიანი ჩხირი; ფერადი ქაღალდისგან სამკუთხა ან ოთხკუთხა ფორმის “იალქანი” გამოიჭრება, სურვილისამებრ მოიხატება და ჩხირით “გემზე” მაგრდება. ასევე წინასწარ უნდა გაკეთდეს ქაღალდისგან კუბის ფორმის “კამათლები”, რომელთა თითოეულ წახნაგზე დასმულია წერტილები 1-დან 6-ის ჩათვლით.

**მოგზაურობა დედამიწის გარშემო:** კლასი 4-5 კაციან ჯგუფებად იყოფა. თითოეულ მათგანს ეძლევა სათამაშო სქემა და კამათელი. ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან თამაშის წესებს, რომლებიც თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას.

1. ჯგუფის თითოეული მოსწავლე სქემაზე თავისი “გემით” გადაადგილდება.
2. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი დაამთავრებს მოგზაურობას, ანუ პირველიდან ბოლო წრემდე მოაღწევს.
3. გადაადგილებისას მოსწავლე ხმამაღლა ამბობს, რომელ ოკეანეში ან კონტინენტზე იმყოფება და რომელმა მოგზაურმა იმოგზაურა აქ. შეცდომის შემთხვევაში იგი ძველ ადგილს უბრუნდება.
4. სქემაზე აღნიშნულ თითოეულ ფერად რგოლს შემდეგი სვლები შეესაბამება:
  - . ლურჯი – დაიწყე თამაში თავიდან, ანუ 1-ელი რგოლიდან.
  - . ყვითელი – გამოტოვე ერთი სვლა.
  - . წითელი – გამოტოვე ორი სვლა.
  - . სტაფილოსფერები – იმოდრავე უკან.
  - . მწვანეები – იმოდრავე წინ.

სახლში მოსწავლეები რუკის დახმარებით თავიანთი მოგზაურობის მარშრუტს ადგენენ და კონტურულ რუკაზე აღნიშნავენ.



თემა: გეოგრაფიული ობიექტები

გეოგრაფიულ ნომენკლატურასა და კონტურულ რუკებზე მუშაობა

საჭირო მასალა: წინასწარ მომზადებული ცხრილი (ან ბარათები), ნახევარსფეროების რუკა, ნახევარსფეროების კონტურული რუკა, საშლელი, შავი და წითელი ფანქრები.



ენდორინეთი									
გბრალტარი									
ხლპები									

ცხრილის შევსების შემდეგ მასში ჩამოთვლილ გეოგრაფიულ ობიექტებს მოსწავლეები კონტურულ რუკაზე მონიშნავენ.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოსწავლეები რიგრიგობით გამოდიან კედლის ნახევარსფეროების რუკასთან და ცხრილიდან თქვენ მიერ ამორჩეულ გეოგრაფიულ ობიექტს აჩვენებენ, დანარჩენები კი საკუთარ ნამუშევრებში ამოწმებენ პასუხების სისწორეს. არასწორი პასუხის შემთხვევაში ობიექტს წითელი ფანქრით გადახაზავენ და შესაბამის ადგილას მონიშნავენ.

დასასრულ, გთავაზობთ რამდენიმე ინტერნეტსაიტს, სადაც განთავსებულია გეოგრაფიული სასწავლო თამაშები, რომლებიც, ვფიქრობთ, დაეხმარება თქვენს მოსწავლეებს, ხალისითა და ინტერესით შეისწავლონ გეოგრაფია.

[ჰტტპ://www.ლევანინგამესფორკიდს.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს.ჰტმლ](http://www.ლევანინგამესფორკიდს.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს.ჰტმლ)

[ჰტტპ://www.სპეპარდსოფტწარე.ცომ/გეოგრაპკყ.ჰტმ](http://www.სპეპარდსოფტწარე.ცომ/გეოგრაპკყ.ჰტმ)

[ჰტტპ://www.კიდსგეო.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს](http://www.კიდსგეო.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს)

[ჰტტპ://www.ცოლმატჰ-გამეს.ცომ/1-გეოგრაპკყ-გამეს-01.ჰტმლ](http://www.ცოლმატჰ-გამეს.ცომ/1-გეოგრაპკყ-გამეს-01.ჰტმლ)

[ჰტტპ://www.დიგიტალდიალეცტს.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს.ჰტმ](http://www.დიგიტალდიალეცტს.ცომ/გეოგრაპკყ-გამეს.ჰტმ)

[ჰტტპ://www.ლიზარდბონტ.ცომ/ფუნ/გეოქუიზ](http://www.ლიზარდბონტ.ცომ/ფუნ/გეოქუიზ)